საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება
ქ. თბილისი

MES 2 23 0000369482

31/03/2023

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ისტორიის" საბაკალავრო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ

1.გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები

1.1. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^2 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) სააკრედიტაციო დოკუმენტაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2. „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების შესახებ.

1.3. „აკრედიტაციის დებულების“ 27^5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, აკრედიტაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია აკრედიტაციის მაძიებელს მისცეს რეკომენდაციები.

1.4. აკრედიტაციის დებულების 27^5 მუხლის მე-7^1 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, დასაბუთებული არგუმენტაციის შემთხვევაში, განსაზღვროს გადაწყვეტილებების ძალაში შესვლის თარიღი.

2.აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება

2.1 სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 10 ნოემბრის №1438891 წერილით (ცენტრში რეგისტრაციის - №1445008, 14/11/2022) წარმოდგენილ იქნა სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განაცხადი ,,ისტორიის" საბაკალავრო, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის თაობაზე.

2.2. ცენტრის დირექტორის 2022 წლის 25 ნოემბრის № 1500163 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის 2022 წლის 07 დეკემბრის № 1557317 ბრძანების საფუძველზე შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც დაწესებულებაში ვიზიტი „ისტორიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით განახორციელა 2022 წლის 20, 21 და 22 დეკემბერს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		•		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	•			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	•			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	•			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		•		

2.3. საბჭომ შეისწავლა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია, კერძოდ, თვითშეფასების ანგარიშსა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციაში ასახული ინფორმაცია, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.4. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2023 წლის 17 მარტს. სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარეების ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში დაფიქსირებული შეფასება, კერძოს 1,4 კომპონენტის შეფასება, ნაცვლად „მეტწილად შეაბამისია მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „ნაწილობრი შესაბამისია მოთხოვნებთან“, თუმცა ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება.

3.სარეზოლუციო ნაწილი

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუქტის, მე-2 პუქნტის “ა” ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლ ის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „$ბ^1$ “ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის No223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად 15 ხმითწინა არცერთის წაღმდეგ,

გადაწყვიტა:

1.დაკმაყოფილდეს სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი № 1-ით გათვალისწინებულ “ისტორიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით (2030 წლის 17 მარტი), 1 წელსა და 6 თვეში მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით;

2.ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა “ისტორიის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 2).

3.ცნობილ იქნას საბჭოს 2023 წლის 31 მარტის № 369481 სხდომის ოქმის № 01 ნაწილი ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი № 3).
4.დაწესებულებას შესასრულებლად განესაზღვრა შემდეგი
რეკომენდაცია:

1. ერთი ECTS კრედიტი უნდა განისაზღვროს უნივერსიტეტის დებულებით, როგორც 25 საათი და სავალდებულო საგნების კრედიტის საათების რაოდენობა შესწორებული უნდა იყოს როგორც სასწავლო გეგმაში, ასევე შესაბამის სილაბუსებში.
2. სწავლის შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად, მოძველებული და/ან უცხოენოვანი ლიტერატურა ამოღებულ უნდა იქნეს შემდეგი სილაბუსებიდან: 1. ზოგადი ეთნოლოგია; 2.. ახლო აღმოსავლეთის ისტორია (V-XXI სს.); 3. შუა საუკუნეების ისტორია (1); 4. შუა საუკუნეების ისტორია (2); 5. ბიზანტიის ისტორია (ინგლისურად სათაური უნდა იყოს History of Byzantine Empire ან History of Byzantium); 6. რუსეთის ისტორია; 7. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია (1) (სწორი სათაური ინგლისურად უნდა დაიწყოს Modern and Contemporary History); 8. ევროპისა და ამერიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორია (2); 9. მსოფლიო ცივილიზაციების ისტორია; 10. აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და თანამედროვე ისტორია; 11. შავი ზღვისპირეთის უძველესი ცენტრები; 12. საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია; 13. თურქეთის ისტორია (XX-XXI სს.); 14. ქართული, ქართული დიასპორები საზღვარგარეთ; 15. საერთაშორისო ურთიერთობები და კონფლიქტები; 16. საზღვაო სტრატეგია საერთაშორისო პოლიტიკაში; 17. საქართველოს პირველი რესპუბლიკა;
3. რეკომენდებულია, აკადემიურ პერსონალში ინოვაციური სწავლების მეთოდების და პრაქტიკების განვითარების ხელშეწყობა.
4. რეკომენდებულია, საბიბლიოთკო რესურსის უზრუნველყოფა, სასწავლო კურსების სილაბუსებში განახლებული ლიტერატურის შესაბამისად.
5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფაკულტეტის დონეზე უნდა გაძლიერდეს პროგრამის შეფასებისა და დამტკიცების პროცესებთან დაკავშირებით; ხოლო პროგრამების შეფასება უფრო სისტემატურად უნდა წარიმართოს. კერძოდ, ფაკულტეტის დონეზე აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაფილტროს პროგრამები ხარისხის გასაუმჯობესების მიზნით. შემდეგ პროგრამები უნდა დამტკიცდეს ფაკულტეტის დონეზე „ფაკულტეტის საბჭოს“ ან მისი ეკვივალენტი ორგანოს მიერ.
6. რეკომენდებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განავითაროს უფრო ეფექტური და მჭიდრო თანამშრომლობა აკადემიურ პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან პროგრამის შემუშავებისა და ცვლილებების პროცესში. გასაუმჯობესებელი სფეროები მოიცავს, მაგალითად, სტუდენტის დატვირთვის შეფასებას, სასწავლო კურსების კრედიტების რაოდენობას, სილაბუსებსა და შეფასებაში ნებისმიერი გამეორების იდენტიფიცირებას და ა.შ.

რჩევები:

- უნდა გასწორდეს ტექნიკური შეცდომა საქართველოს ისტორიის (X-XIV სს.) კურსის სილაბუსში
- სასურველია შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასების ფორმების დივერსიფიკაცია, კურსის ინდივიდუალური მახასიათებლებისა და მისი სწავლის შედეგების შესაბამისად;

5. საბჭოს აღნიშნული გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2023 წლის 17 მარტიდან.
6. მონიტორინგის განხორციელების ვადად განისაზღვრა 2024 წლის 17 სექტემბერი.

7. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე (www.eqe.ge) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების
აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
რატიანი რატი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

დანართი №1

№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ისტორია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	04.11.2011 N241
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	
8	კვალიფიკაციის დონე	VI
9	კვალიფიკაციის დასახელება	ჰუმანიტარული მეცნიერებების ბაკალავრი ისტორიაში
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0222 ისტორია და არქეოლოგია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
14	განხორციელების ადგილი	ნინოშვილის/რუსთაველის ქუჩა N35/32, კორპუსი N1, ბათუმი, საფოსტო ინდექსი - 6010, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-
16	ამ გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	17/03/2023

17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	2024 წლის 17 სექტემბერი
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2030 წლის 17 მარტი